ემზარ მაკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო კოპალიანი
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მუსტაფა ქემალ ათათურქი და თურქული სეკულარიზმი

აბსტრაქტი

მუსტაფა ქემალ ათათურქის და თურქული სეკულარიზმის/ ლაიციზმის საკითხების შესწავლა და ანალიზი განაპირობა იმან, რომ ქართული ისტორიოგრაფია ამ პრობლემას სათანადო ყურადღებას არ აქცევდა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომები არ არსებობს.

წინამდებარე ნაშრომში უწყვეტ ჯაჭვში განვიხილავთ თურქული სეკულარიზმის ანალიზს, რაც საკითხის როგორც ისტორიული ასპექტის, ისე მისი თანამედროვე რეალობის ვიზუალიზაციას გარკვეულწილად შესაძლებელს გახდის. კვლევაში შევეცადეთ მკაფიო ხაზი გაგვევლო იმ პრობლემებზე, რომლებიც აქტიურად ჩნდებოდა მათ ურთიერთობაში.

ნაშრომი ეხება მ. ქ. ათათურქის დამოკიდებულებას, თურქული სეკულარიზმის/ ლაიციზმის საკითხის შესწავლას კრიტიკული ანალიზის მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული საკითხების შესწავლამ და ანალიზმა მოგვცა საშუალება ნათლად გაგვეგო პრობლემის ძირითადი საკითხები და მისი ისტორიული ასპექტები. ნაშრომში მკაფიოდაა გადმოცემული სეკულარიზმის საკითხები და ახლებურად არის წარმოდგენილი თანამედროვე მიდგომები თურქული სეკულარიზმის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: *მუსტაფა ქემალ ათათურქი, ლაიციზმი, ისლამი, თურქეთი.*

თანამედროვე თურქეთის ისტორიის განმავლობაში, სეკულარიზმი და ლაიციზმი იყო ცენტრალური და ხშირად სადაო საკითხი თურქეთის იდეოლოგიასა და პოლიტიკაში. მისი კონცეფცია თურქულ კონტექსტში მჭიდროდ არის დაკავშირებული მუსტაფა ქემალ ათათურქის, თანამედროვე თურქეთის დამაარსებლის მემკვიდრეობასთან და მის ხედვასთან ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის შესახებ.

თურქეთის მიდგომა სეკულარიზმისადმი რამდენიმე მნიშვნელოვანი თვალსაზრისით განსხვავდება ლაიციზმის დასავლური კონცეფციისაგან. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში სეკულარიზმი ზოგადად ნიშნავს რელიგიის სახელმწიფოსგან გამიჯვნას, თურქეთში მას ხშირად განმარტავენ, როგორც სახელმწიფო კონტროლს რელიგიაზე. ეს ინტერპრეტაცია უფრო შეესაბამება ფრანგულ კონცეფციას „laïcité“, სადაც სახელმწიფო აქტიურად მართავს და არეგულირებს რელიგიურ საკითხებს.

თურქეთის კონტექსტში, ცნებები „თურქული laïcité“ და „სეკულარიზმი“ წარმოადგენს ორ განსხვავებულ მიდგომას რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის მიმართ. ამ კონცეფციებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ ქვეყნის საზოგადოებისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. აი, თურქული ლაიციტისა და სეკულარიზმის შედარება:

თურქული laïcité, რომელსაც თურქულად ხშირად "laiklik"-ს უწოდებენ, შთაგონებულია laïcité-ის ფრანგული კონცეფციით. იგი შემოიღო მუსტაფა ქემალ ათათურქმა, თანამედროვე თურქეთის დამფუძნებელმა, როგორც მისი ფართო რეფორმების ნაწილი, რათა თურქეთი თანამედროვე, სეკულარულ ეროვნულ სახელმწიფოდ გარდაექმნა.

თურქული laïcité გულისხმობს სახელმწიფოს ძლიერ კონტროლს რელიგიაზე. ეს მოიცავს: რელიგიურ (ისლამი) ინსტიტუტებზე ზედამხედველობას, რელიგიურ განათლებას და რელიგიური პრაქტიკის რეგულირებას საჯარო სივრცეში.

თურქული laïcité-ს თანახმად, რელიგიური განათლება მკაცრად კონტროლდება სახელმწიფოს მიერ. სკოლებში რელიგიურ კურსებზე ზედამხედველობა ხორციელდება ხელისუფლების მხრიდან, ხოლო რელიგიურ დაწესებულებებს მეთვალყურეობას უწევს სახელმწიფო.

თურქეთში Laïcité ისტორიულად დაკავშირებულია საჯარო სივრცეში რელიგიური სიმბოლოების შეზღუდვასთან. მაგალითად, აკრძალული იყო რელიგიური სამოსის ტარება, როგორიცაა ჰიჯაბი, ფესები... ზოგიერთ სამთავრობო დაწესებულებებსა და სკოლებში.

თურქეთში რელიგიური ინსტიტუტები, მათ შორის მეჩეთები და რელიგიური ლიდერები, დაექვემდებარნენ ექვემდებარებიან სახელმწიფო კონტროლს და ზედამხედველობას. მაგალითად, იმამები სახელმწიფო მოხელეები არიან.

„Laïcité“ არის ფრანგული კონცეფცია, რომელიც სეკულარიზმის მსგავსია, მაგრამ სახელმწიფოს უფრო განმამტკიცებელი როლი აქვს რელიგიური საქმეების მართვაში. მას ხშირად უწოდებენ „მკაცრ სეკულარიზმს“.

laïcité-ში სახელმწიფო აქტიურად მართავს და არეგულირებს რელიგიურ საკითხებს. ის არ არის მხოლოდ ნეიტრალური; ის აქტიურად უზრუნველყოფს რელიგიური გავლენის მინიმუმამდე შემცირებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგალითად, მას შეუძლია შეზღუდოს რელიგიური სიმბოლოები საჯარო სივრცეებში, როგორიცაა სასწავლო და სამთავრობო დაწესებულებები შენობები.

თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მოწყობის ოფიციალური დოქტრინა რესპუბლიკის დამაარსებლის, დიდი რეფორმატორის, ქემალ ათათურქის პრინციპებს ეყრდნობა და ქემალიზმის სახელითაა ცნობილი (რესპუბლიკურობა, ნაციონალიზმი, ხალხურობა, ეტატიზმი, ლაიციზმი და რევოლუციურობა).[1]

თანამედროვე თურქეთის ისტორიული განვითარება წარმოუდგენელია მუსტაფა ქემალ ათათურქის (1881-1938) გარეშე. იგი ქვეყნას ყველაზე მძიმე პერიოდში ჩაუდგა სათავეში (1918-1923) და სამართლიანადაც ითვლება რესპუბლიკური თურქეთის დამაარსებლად. ათათურქის ფენომენი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთდროულად იყო სამხედროც, სახელმწიფოში

[1] Bila Hikmet, CHP Tarihı. (Ankara, 1979), 82.

რელიგიის გავლენის შეზღუდვის ინიციატორი, სახელმწიფო მოღვაწეც და რევოლუციონერიც.[2]

ქემალიზმის ექვსივე დებულება ერთნაირად მნიშვნელოვანია რესპუბლიკური თურქეთისათვის, ყოველი მათგანი სრულიად დამოუკიდებელია და ეხება ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას. ამავე დროს, ექვსივე დებულება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

ლაიციზმის, როგორც კონსტიტუციური პრინციპის მიღება კი განხორციელდა მხოლოდ 1937 წლის 5 თებერვალს, № 31115 კანონით.[3]

თურქეთში ლაიციზმი დროის უმოკლეს მონაკვეთში შემოიღეს. ათათურქი ქვეყნის საერო მმართველობაში ლაიციზმს დიდ ადგილს უთმობდა, რადგანაც საუკუნეების განმავლობაში ისლამი თურქეთში საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელი იდეოლოგიური ფაქტორი იყო. ალბათ ამ ფონზე ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ წარმოედგინა ათათურქს ლაიციზმი და როგორ ახორციელებდა მას ქვეყნის ცხოვრებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ლაიციზმის“ პირდაპირი მნიშვნელობა რელიგიის სახელმწიფოდან გამოყოფაა, მაგრამ ათათურქისეულ „ლაიციზმს“ უფრო მრავალმხრივი და ამასთანავე კერძო მნიშვნელობაც გააჩნია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ათათურქის მოსაზრებაც: „რელიგიური იდეის სახელმწიფო საქმეებისაგან გამოყოფაში – რესპუბლიკა ხედავს ერის პროგრესის პირველხარისხოვან ფაქტორს.“[4]

ქემალისტების აზრით, „ლაიციზმის“ პრინციპი, რესპუბლიკურ თურქეთში უზრუნველყოფს პიროვნების სულიერ, ფიზიკურ და რელიგიურ თავისუფლებას, სასულიერო და საერო დაწესებულებების ხელშეუხებლობას, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, რელიგიური უფლებების დაცვას და კონკრეტულად, რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას.

ამ საკითხთან დაკავშირებით ათათურქი თავის გამოსვლებში დასძენდა: „ღმერთით, რელიგიით და რწმენით ადამიანებზე ზემოქმედება არ შეიძლება, სარწმუნოება და პოლიტიკა ურთიერთსაპირისპირო ცნებებია, ამიტომაც რელიგიური მოძღვრების გამოყენება პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოუდგენელია. სარწმუნოება არსებობს, ის სავალდებულო და აუცილებელია, რის გარეშეც საზოგადოების გაგრძელება - გადარჩენა შეუძლებელია, ჩვენი სარწმუნოება გამართლებული, ყველაზე ღირსეული და ყველაზე ბუნებრივია.“[5]

თურქეთის სინამდვილეში, წლების განმავლობაში სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში სასულიერო პირები მონაწილეობდნენ, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის წინსვლას და მას მუდმივად ერთფეროვან გარემოში (ან ერთ საფეხურზე) ტოვებდა. ამიტომ იყო, რომ ათათურქმა ლაიციზმის დებულება თურქეთის რესპუბლიკის და საერთოდ, თანამედროვე თურქული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპად გამოაცხადა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლაიციზმი რწმენის საწინააღმდეგო, უპატივცემულობის დებულებაა. ათათურქი ამბობდა:

---

[2] მაკარაძე ემზარ, თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები (ბათუმი, 2000), 35.

[3] მაკარაძე ემზარ, მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რესპუბლიკურ თურქეთში (ბათუმი, 2009).48.

[4] Atatürkçülük (üçuncü kitap). Atatürkçü Düşünce Sistemı. (İstanbul,1997).43.

[5] Atatürkçülük (üçuncü kitap). (İstanbul,1997).75.

„ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი ერის სიმტკიცისა და სიძლიერის, ამ ორი მთავარი ღირსების მფლობელია. ამიტომ ჩვენი ერის სინდისიდან ამ ღირსების ამოღება შეუძლებელია.“[6]

თუმცა მუსტაფა ქემალ ათათურქის აზრით, სახელმწიფოს მართვის, მოქმედი კანონებისა და კონსტიტუციის საფუძველია არა რელიგიური ელემენტები, არამედ მეცნიერული სიახლენი, მოდერნიზირებული ტექნოლოგია. სწორედ ამგვარი ქმედებითაა შესაძლებელი თურქულ სამყაროში არსებული ყველა რელიგიური დაწესებულებების ამოქმედება და განვითარება თანამედროვეობისათვის მისაღები ფორმებითა და მეთოდებით. იგი წინააღმდეგი იყო რელიგიის ბოროტად გამოყენებისა. ამ საკითხთან დაკავშირებით ის აცხადებდა: „ჩვენი მუზები ციდან ან იდეალისტური სამყაროდან არ გვევლინებიან, მათ ცხოვრება გვიმზადებს. ჩვენი გზების მაჩვენებელია სახელმწიფო, სადაც ცხოვრობს თურქი ხალხი და ვქმნით ჩვენს ისტორიას. მძიმე ხვედრი და ტანჯვა კი ჩვენი მუზებისაგან მოდის.“[7]

ათათურქისეული გამოთქმა: „ჩვენი მუზები ციდან და იდეალისტური სამყაროდან არ გვევლინება“ - ლაიციზმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს. მიგვაჩნია, რომ აქედან გამომდინარე ათათურქს სურდა, სახელმწიფოს მართვა არა რელიგიური პრინციპების გამოყენებით, არამედ განათლებისა და მეცნიერების საფუძვლებით, მისი მოსაზრებით, „ლაიციზმი პირდაპირ აღიქმება, როგორც სახელმწიფოს მართვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძველზე რელიგიის ჩაურევლობის გარეშე“.

ათათურქი ლაიციზმის საკითხს საზოგადოებასთან კავშირში შემდეგნაირად ხსნის: „ნაციონალური, ეროვნული ნება-სურვილი საზოგადოებისათვის მძიმე ტვირთია, ყველაზე წმინდა, სარწმუნოების თავისუფლება მხოლოდ სახელმწიფოსაგან რელიგიის გამოყოფას კი არ ნიშნავს, არამედ ყველა თანამემამულეთა სულის, ლოცვისა და რწმენის თავისუფლების დაცვას.“[8]

ლაიციზმის ამგვარი მიდგომა რელიგიისადმი, უნდა გამორიცხავდეს სასულიერო ხელისუფალთა ყოველგვარ მცდარ შეხედულებას ქვეყნის ცხოვრებაზე. ასეთ გარემოში კი რელიგიას უნდა მიეცეს მისი კუთვნილი ადგილი. ამ თვალსაზრისით ათათურქისეულმა ლაიციზმმა საშუალება მისცა რელიგიას, სრულყოფილად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი.

ქემალისტური ლაიციზმი, სახელმწიფოებრივ უფლებებს სახელმწიფოს აკუთვნებს, რელიგიურ უფლებებს კი რელიგიას და ამ თვალსაზრისით ცდილობს გამიჯნოს რელიგია სახელმწიფოსაგან.

საერო ხელისუფლების მიმდევრები თვლიან, რომ თუ რელიგია მხოლოდ რელიგიური უფლებებით ისარგებლებს, ამით გამორიცხება მისი დაპირისპირება სახელმწიფოსთან, რაც რესპუბლიკურ თურქეთს მისცემს შესაძლებლობას წინსვლისა და განვითარებისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით თურქეთის საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა შეხედულებები: თურქი პროფესორი ფ. აჰმადი იძლევა ლაიციზმის შემდეგ განმარტებას: „ლაიციზმი - ეს არის სახელმწიფოს მართვა არა რელიგიური პრინციპებით, არამედ ხალხის მიერ

---

[6] Atatürkçülük (üçuncü kitap). (İstanbul,1997).80.

[7] Atatürkçülük (üçuncü kitap). (İstanbul,1997).87.

[8] Armaner, N. Atatürk – Din ve Laiklik, Atatürkçülük (ikinci kitap). (İstanbul,1997).100.

არჩეული თურქეთის უმაღლესი ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონების შესაბამისად. ლაიციზმის პრინციპით ყველა მოქალაქე თავისუფალია და აქვს რელიგიური რიტუალების ჩატარების უფლება. დაუშვებელია პროპაგანდა, როგორც რელიგიის სასარგებლოდ, ასევე მის საწინააღმდეგოდ.“[9]

ქემალიზმის ისტორიის არაერთი მკვლევარი ცდილობს ახსნას ფენომენი – თუ როგორ შეძლო საერო ხელისუფლებამ დროის მცირე მონაკვეთში საზოგადოების იმ ცივილიზაციის საზღვრებში მოთავსება, საიდანაც ქვეყნის დემოკრატიულ მოდერნიზაციას გაეხსნებოდა გზა. თურქეთში მსგავსი განვითარება გაკვირვებას იწვევს იმიტომაც, რომ ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ლაიციზმი თურქეთში არ ყოფილა ევოლუციური ცვლილებების, საზოგადოებაზე საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული მომხდარი მოწინავე ფილოსოფიური იდეების ზეგავლენის შედეგი.

ქემალისტები ამკვიდრებდნენ ევროპეიზაციას საკანონმდებლო გზით. ლაიციზმი მათთვის იყო მთავარი პოლიტიკური არჩევანი, რამდენადაც მისი არგამოყენება შეიძლება კონსერვატორულ ძალებთან შეჯახებისას ძალაუფლების დაკარგვად დაჯდომოდათ.

ლაიციზმის ისტორია როგორც საერო სახელმწიფოს პრინციპი თურქეთში გულისხმობს მის ევროპეიზაციას. იმდენად რამდენადაც ლაიციზმი არის შედეგი არა თურქული კულტურის დამოუკიდებელი განვითარებისა, არამედ შედეგი ევროპეიზაციისა, რაც ხშირად წარმოადგენდა მსჯელობის საგანს.

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თურქეთის საზოგადოებაში თითქმის საერთოდ არ არსებობდა ლაიციზმის ფილოსოფიურ-კულტურული საფუძველი, რაც საშუალებას მისცემდა მას პოლიტიკურ სფეროში დამკვიდრებას. ლაიციზმი როგორც სერიოზული მოძრაობა არ გამოვლენილა სულთან აბდულ ჰამიდ მეორის ეპოქამდე (1876-1908). ამ დროს ახალგაზრდა თურქთა მიერ განხორციელებულმა რევოლუციამ, რომელსაც „ერთობისა და პროგრესის პარტია“ ხელ-მძღვანელობდა, უზრუნველყო თურქეთისათვის 1876 წლის კონსტიტუცია. „ერთობისა და პროგრესის პარტიას“ ლაიციზმი ოფიციალურად არ მიუღია. იგი ატარებდა საერთო პოლიტიკას. პარტიის დაარსებისთანავე მასში გამოიკვეთა ისლამის მომხრეთა სხვადასხვა ჯგუფი. ერთის მხრივ არსებობდა ისლამის როგორც აქტიური პოლიტიკური საგნის მომხრეთა ჯგუფი, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ აქტუალური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება შეიძლებოდა მხოლოდ ისლამზე დაყრდნობით. მეორეს მხრივ, არსებობდა ლაიციზმის მომხრეთა მცირე ჯგუფი. გარდა ამისა, აქვე იყო თურქეთის ნაციონალური მოძრაობა. ასეთ ვითარებაში პარტია ყველანაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა ლოიალური ურთიერთობა ყველა ამ ჯგუფებთან. მოძრაობამ თურქეთში ლაიციზმის დასამკვიდრებლად, როგორც ითქვა გასაქანი ჰპოვა განმანთავისუფლებელი მოძრაობის შემდეგ. ათათურქმა ლაიციზმი მის მთავარ და რადიკალურ პრინციპად გამოაცხადა, სწორედ ამ პოლიტიკამ თითქმის ნულამდე დაიყვანა რელიგიის როლი სახელმწიფო მმართველობაში და გარკვეულ ეტაპზე ქვეყანაში შეკვეცა მათი როლი. როგორც ერთ-ერთი თურქი

[9] Ahmad, F. Tiirkiye'de cok partiii politikanin aciktamali kronolqjisi(1945-71).(Ankara,1976).89.

მეცნიერი თოფრაქი აღნიშნავს: - „რელიგია თურქეთში გამოიყენებოდა, როგორც პროტესტი ერთპარტიული ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ.“[10]

ლაიციზმის შესახებ 1930 წელს მუსტაფა ქემალი ამბობდა: - „რელიგიური იდეის სახელმწიფო საქმეებისაგან გამოყოფაში რესპუბლიკა ხედავს ჩვენი ერის პროგრესის პირველხარისხოვან ფაქტორს“. „ხალიფატის გაუქმება ნიშნავდა ახალი თურქეთის სურვილს საბოლოოდ გაეწყვიტა კავშირი წარსულთან და შეექმნა პროგრესული სახელმწიფო დასავლური დემოკრატიის მაგალითზე“.

ქემალისტებმა, მიუხედავად ოპოზიციური ძალების გამოსვლებისა და მათ შორის არსებული წინააღმდეგობისა, ყოველგვარი უკანდახევის გარეშე გამოიყენეს ლაიციზმის პრინციპი და მთავარ დასაყრდენად აქციეს ის რესპუბლიკურ თურქეთში.

ამგვარად, ლაიციზმის გაგება სწორ გააზრებას მოითხოვს, რის გარეშეც შეუძლებელია საერო, რესპუბლიკური თურქეთის სახელმწიფოს მშენებლობის ქემალისტური პრინციპების გაგება, რომლის დაარსებიდან 100 წელი გავიდა. ამ დროის მანძილზე ამ საკითხის მიმართ ბევრი რამ დაიწერა და გვჯერა, რომ მომავალშიც კიდევ ბევრი ითქმება და დაიწერება, რადგან ჩვენი აზრით ათა თურქის და ქემალიზმის ფენომენი თანამედროვე თურქეთის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი აქტუალური და საინტერესო საკითხია.

სეკულარიზმი თურქეთში, ისევე როგორც სხვაგან, იცავს რელიგიის თავისუფლების პრინციპს. ეს საშუალებას აძლევს ინდივიდებს განახორციელონ თავიანთი რელიგიის არჩევანი, კანონის ფარგლებში, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე.

სეკულარიზმსა და რელიგიას შორის ურთიერთობა თურქეთში არაერთხელ გახდა პოლიტიკური დაძაბულობის წყარო. მიუხედავად იმისა, რომ სეკულარიზმს იცავს თურქეთის კონსტიტუციის მე-2 მუხლი, იყო დებატები და მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად უნდა იყოს დაცული ქვეყანაში სეკულარიზმის პრინციპი და როგორ ურთიერთქმედებს იგი პოლიტიკურ მოვლენებთან.

ფრანგი მეცნიერი, სამართლისა და ისტორიის დოქტორი ავრორე რუბიო თურქულ სეკულარიზმთან დაკავშირებით წერს, რომ ,,ქემალისტური სეკულ-არიზმი წარმოადგენდა საბრძოლო სეკულარიზმს, რომელიც ძალის გამოყენებით იყო დაწესებული რელიგიაზე.“[11] შეიძლება დავეთანხმოთ კიდეც ამ განმარტებას, რამდენადაც თურქეთში სეკულარიზმი ,,ზემოდან“ დამკვიდრდა და საზო-გადოების ფართო ფენები არ იყვნენ მზად ამისათვის. მუსტაფა ქემალ ათათურქის ხელში ლაიციზმი, იგივე სეკულარიზმი გადაიქცა ერთგვარ იარაღად, რომლითაც იგი ცდილობდა შეეზღუდა რელიგიის გავლენა პოლიტიკურ სივრცესა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქვეყნის კულტურულ, სამართლებრივ თუ სოციალურ სფეროში მუსტაფა ქემალიმ ლაიციზმის სახელით განახორციელა რევოლუციური ხასიათის რეფორმები. სია საკმაოდ შთამბეჭდავია: რელიგიური სკოლების საერო და შერეული სკოლებით შეცვლა, იმამების გადაქცევა სახე-ლმწიფო მოხელეებად, პოლიგამიური ოჯახების აკრძალვა, ანბანის რეფორმა (1928), თურქულ ენაზე ლოცვის ვალდებულება, შვეიცარიის სამოქალაქო და იტალიის სისხლის სამართლის ანალოგიური კოდექსების მიღება, დასავლური

[10] Toprag B., Islam and Political Development in Turkey. (Leiden,1981). 108.

[11] Rubio A, La Turquie, 2005, https://tinyurl.com/3ayjd8ta (ბოლოს გადამოწმდა: 6.04.2025).

სტილის ტანსაცმლის ტარების შემოღება, გრიგორიანული კალენდრის დამკვიდრება, კვირის დასვენების დღედ გამოცხადება (1925 წლის 26 დეკემბერი), აია სოფიას ბაზილიკის მუზეუმად გადაქცევა და ა. შ. ლაიციზმის პრინციპები განსაკუთრებით მისაღები უნდა ყოფილიყო ქალებისათვის, რადგან ათათურქი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ქალთა საკითხს: გამოდიოდა ჩადრის ტარების წინააღმდეგ და გატარებული რეფორმების შედეგად ქალებმა მიიღეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება (1935), ამ დროიდან მოყოლებული გაჩნდნენ თურქეთში პარლამენტარი ქალები, ქალი-ექიმები, იურისტები, მასწავლებლები და ა.შ.[12] ასევე საფუძველი ჩაეყარა საერო სკოლების დაარსებას, სადაც უცხოეთიდან მოწვეული სწავლულების დახმარებით მიმდინარეობდა ახალ სასწავლო პროგრამებზე მუშაობა და პედაგოგების გადამზადება, გარდა ამისა, ქვეყანაში შექმნილი ლინგვისტური და ისტორიული საზოგადოებები ხელს უწყობდნენ სახელმწიფოში სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარებას. ამ მხრივ თურქეთის მოდერნიზაციის გზაზე უმნიშვნელოვანესი იყო 1924 წლის 3 მარტს ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონი N430, რომლის მიხედვითაც ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება განათლების სამინისტროს დაექვემდებარა. დაიხურა სასულიერო სკოლები (მედრესები), 1937 წლის კონსტიტუციის მორიგი გადასინჯვისას შინაგან საქმეთა მინისტრმა ს. კაიამ დააკონკრეტა რომ ,,სეკულარიზმით გვსურს რელიგიამ არ მოახდინოს გავლენა საქვეყნო საქმეებზე, რელიგია უნდა დარჩეს მეჩეთებში და არ ჩაერიოს სახელმწიფოს ცხოვრებაში.“[13]

თავად მუსტაფა ქემალი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა (1789) და საფრანგეთის რესპუბლიკის მიღწევების დიდი თაყვანისმცემელი იყო, ასევე გულმოდგინედ კითხულობდა ევროპელი განმანათლებლების ნაშრომებსაც.[14] ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ უდავოა სეკულარიზმის ფრანგული მოდელის გავლენა, მაგრამ მუსტაფა ქემალის მიზანი ისლამის რეფორმირება და პოლიტიკური სფეროდან მისი ჩამოშორება იყო და ამიტომაც თურქეთში ლაიციზმს მეტ-ნაკლებად მოჰყვა სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნა. სურდა რა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან გაემიჯნა რელიგია, ქემალისტურმა ლაიციზმმა თავისი ზედამხედველობის ქვეშ მოაქცია სუნიტური ისლამი და იგი შეეცადა სეკულარიზმი გამოეყენებინა იმისათვის, რომ ახალ, ერთიან თურქულ ,,ეროვნულ“ სახელმწიფოს ჩაყროდა საფუძველი და თურქეთის მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური მოსახლეობის კონსოლიდაცია მოეხდინა - ჩამოეყალიბებინა ,,ერთიანი თურქული ერი“. ათათურქის მიერ განმტკიცებულმა რელიგიურმა თავისუფლებამ, გარკვეულწილად, შესაძლებლობა მისცა თურქეთის ეროვნულ უმცირესობებს (ლაზებს, ბოსნიელებს, ალბანელებს, ჩერქეზებს, არაბებს) თავი არ ეგრძნოთ უცხო ერის წარმომადგენლად და მომხდარიყო მათი თურქიზაცია. მუსტაფა ქემალის სეკულარიზმი ერთგვარი გამაერთიანებლის როლში გამოვიდა: ის გახდა გარკვეული სამართლებრივი ფორმულა

[12] Сулейманова З. Реформы Мустафы Кемапя, Научный журнал №2 (15), 2017, https://tinyurl.com/2fzzcvdz ,გადამოწმებულია: 12.04.2025

[13] Massicard E, L’organisation des rapports entre E’tat et religion en Turquie, CRDF, N 4, 2005, https://tinyurl.com/2fv6cr5u , გადამოწმებულია: 10.04.2025

[14] Billion. D, Laïcité, islam politique et démocratie conservatrice en Turquie, Confluences Méditerranée, N°76, 2011, https://tinyurl.com/4amvufun ,გადამოწმებულია: 9.04.2025

განსხვავებული რელიგიის, ენის, კულტურისა და უფლებების მქონე ეთნიკური ჯგუფების გაერთიანებისათვის.[15]

თურქეთის ახალი მმართველისათვის რელიგიის კონტროლი, რომელსაც ის ანხორციელებდა მის მიერ შექმნილი სპეციალური სამსახურის, დიანეთის, დახმარებით მნიშვნელოვანი იყო მისი პოლიტიკის წარმატებისათვის, რათა მიმდინარე რეფორმების პირობებში ნაყოფიერად განხორციელებულიყო ქვეყნის გარდაქმნა და სეკულარიზაცია. ეს რელიგიურ საქმეთა სამმართველო პირდაპირ იყო დაკავშირებული პრემიერ-მინისტრთან (2017 წლიდან კი, პრეზიდენტთან) და, შესაბამისად, ყოველთვის ასახავდა ხელისუფლების ნებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც მმართველი ძალა იყო სეკულარული, დიანეთს ევალებოდა საზოგადოების სეკულარიზაცია, ხოლო იმ პერიოდიდან, როცა ხელისუფლება ისლამის გაძლიერებისაკენ გადაიხარა, დიანეთი საზოგადოების დესეკულ-არიზაციის მთავარ იარაღად იქცა.[16] თუმცა, ათათურქისეული სეკულარიზმი არ ექვემდებარება კონსტიტუციურ ცვლილებებსა და შესწორებებს, რადგანაც ამ ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად სეკულარიზმის პრინციპის შეცვლა შეუძლებელია.

საერო და რელიგიური სფეროების ურთიერთობის საკითხი თურქეთში დღემდე სერიოზული განხილვის საგანია. თურქეთის რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა სუნიტური ისლამის აღმსარებელია და ეს სახელმწიფო თავისებურად უნიკალურ ქვეყანას წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ ერთი მხრივ, ეკუთვნის ისლამურ ცივილიზაციას, მეორე მხრივ კი, ქვეყანამ დააგროვა სეკულარული და ევროპული ტრადიციების ერთობლიობის, ასევე დემოკრატიისა და რელიგიური (ისლამი) თანაარსებობის საკმაოდ დიდი გამოცდილება.

თურქეთში ლაიციზმისა და სეკულარიზმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნე-ლოვანი გამოწვევაა რელიგიური კონსერვატიზმის ზრდა. დროთა განმავლობაში თურქეთში თავი იჩინა ისლამური ღირებულებებისა და პრაქტიკის აღორძინებამ, რამაც გამოიწვია დაძაბულობა სეკულარებსა და რელიგიურ კონსერვატორებს შორის. ეს წინააღმდეგობა გამოიხატა სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორისაა თავსაბურავის ტარება, რელიგიური სიმბოლოების საჯაროდ ჩვენების აკრძალვა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიის როლის განსაზღვრა და სხვ.

თურქეთის მიერ ლაიციზმის მკაცრმა ინტერპრეტაციამ გამოიწვია რელიგიური გამოხატვის შეზღუდვა. თავსაბურავის ტარების საკითხი საჯარო დაწესებულებებში - უნივერსიტეტები და სამთავრობო უწყებები, მრავალი წლის განმავლობაში სადავო საკითხია. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ეს შეზღუდვები არღვევს პიროვნების რელიგიურ თავისუფლებებს. თურქეთის მთავრობამ, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით, როგორიცაა რელიგიის საკითხთა დირექტორატი (დიანეთი), მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყანაში რელიგიური საკითხების რეგულირებაში. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ

[15] Touron S. La laïcité turque, un modèle à bout de souffle, 2022, https://tinyurl.com/3eawc4j6 , (გადამოწმებულია: 6.04.2025}

[16] Akgönül S, La laïcité à la turque à l'épreuve d'un régime alaïque, journal-Revue du droit des religions N14, 2022, https://tinyurl.com/j5a8tjmd, გადამოწმებულია: 12.04.2025

მთავრობის ამ ჩართულობამ გამოიწვია რელიგიის პოლიტიზაცია და სუნიტური ისლამის კონკრეტული ფორმის პოპულარიზაცია.

თურქეთის განათლების სისტემა იყო სეკულარიზმისა და რელიგიური გავლენის შესახებ ერთგვარი დებატების არეალი. ზოგი ამტკიცებს, რომ სასწავლო გეგმა შემუშავებულია საერო მსოფლმხედველობის გასაძლიერებლად, ზოგი კი მიიჩნევს, რომ ის გამოიყენებოდა სკოლებში რელიგიური სწავლებების გავლენის შესაზღუდად.

ლაიციზმმა და სეკულარიზმმა ხელი შეუწყო თურქეთის პოლიტიკურ პოლარიზაციას. პოლიტიკური პარტიები ხშირად აფიქსირებენ პოზიციებს ამ საკითხებთან დაკავშირებით, ზოგი პარტია მხარს უჭერს უფრო ძლიერ სეკულარიზმს, ზოგი კი რელიგიურ კონსერვატიულ ღირებულებებს. ეს პოლარიზაცია ზოგჯერ იწვევს არასტაბილურობას და სოციალურ არეულობას. თურქეთის კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებს მოჰყვა გარკვეული სამართლებრივი გამოწვევები ლაიციზმისა და სეკულარიზმის ინტერპრეტაციასა და აღსრულებასთან დაკავშირებით. სასამართლოებს მოუწიათ გადაწყვეტ-ილების მიღება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ისლამური ფუნდამენტალიზმის ხელშეწყობაში ბრალდებული პოლიტიკური პარტიების დახურვა.

მიუხედავად იმისა, რომ ლაიციზმი მიზნად ისახავდა რელიგიური

უმცირესობების დაცვას (ქრისტიანები, იუდეველები...), ის ყოველთვის არ ახერხებდა ამას. ზოგიერთმა რელიგიურმა უმცირესობამ კი განიცადა დისკრიმინაცია.

კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ თურქეთში ლაიციზმისა და სეკულარიზმის მკაცრმა ინტერპრეტაციამ გამოიწვია სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, განსაკუთრებით ეს შესამჩნევია მაშინ, როდესაც საქმე ეხება რელიგიური მოღვაწეების ან სხვადასხვა მრწამსის მქონეთა კრიტიკას.

მოკლედ, მაშინ, როცა სეკულარიზმიც და ლაიციზმიც იზიარებენ რელიგიის ხელისუფლებისგან გამიჯვნის პრინციპს, ლაიციზმი უფრო პროაქტიულ და ინტერვენციულ მიდგომას იჩენს, იყენებს საჯარო სივრცეებში რელიგიური გამოხატვის აქტიური რეგულირებით. მეორე მხრივ, სეკულარიზმი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს ნეიტრალურ პოზიციაზე რელიგიის მიმართ, რელიგიის ინდივიდუალური თავისუფლების დაცვაზე რელიგიურ საკითხებში სახელმწიფოს ფართო ჩარევის გარეშე. ამ მიდგომებს შორის არჩევანი ხშირად დამოკიდებულია მოცემულ ქვეყანაში არსებულ ისტორიულ, კულტურულ და პოლიტიკურ ფაქტორებზე.

გამოყენებული ლიტერატურა - References

1. Bila, Hikmet. *CHP Tarihı.* Ankara, 1979.
2. მაკარაძე, ემზარ. *თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები.* ბათუმი, 2000.
3. მაკარაძე ემზარ, *მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რესპუბლიკურ თურ-ქეთში.* ბათუმი, 2009.
4. Atatürkçülük (üçuncü kitap). *Atatürkçü Düşünce Sistemı.* İstanbul, 1997.
5. Armaner, N. *Atatürk – Din ve Laiklik, Atatürkçülük* (ikinci kitap). İstanbul, 1997.

6. Ahmad, F. *Tiirkiye'de cok partiii politikanin aciktamali kronolqjisi (1945-1971).* Ankara, 1976.
7. Toprag, B. *Islam and Political Development in Turkey.* Leiden, 1981.
8. Rubio, A. La Turquie, 2005, https://tinyurl.com/3ayjd8ta (ბოლოს გადამოწმდა: 6.04.2025).
9. Сулейманова, З. Реформы Мустафы Кемаля. *Научный журнал* №2 (15), 2017, https://tinyurl.com/2fzzcvdz ,გადამოწმებულია: 12.04.2025
10. Massicard, E. L'organisation des rapports entre E'tat et religion en Turquie. *CRDF*, N 4, 2005, https://tinyurl.com/2fv6cr5u , გადამოწმებულია: 10.04.2025
11. Billion, D. Laïcité, islam politique et démocratie conservatrice en Turquie. *Confluences Méditerranée*, N°76, 2011, https://tinyurl.com/4amvufun, გადამოწმებულია: 9.04.2025.
12. Touron, S. La laïcité turque, un modèle à bout de souffle, 2022. https://tinyurl.com/3eawc4j6 , (გადამოწმებულია: 6.04.2025).
13. Akgönül, S. La laïcité à la turque à l'épreuve d'un régime alaïque. *Revue du droit des religions,* N14, 2022, https://tinyurl.com/j5a8tjmd, გადამოწმებულია: 12.04.2025.